137
1932
№2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოსტა ბრიგადა

№2

სახელმწიფო 1932

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ, № 2.

ოქტომბრელი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური მიუროს და განათლების სახ. კომისარ. სოც. აღზრ. მთავარმართველობის ქურნალი მცირეწლოვან მაჯშთათვის

თებერვალი 1932

ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 7.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲔᲚᲘᲡ“ ᲡᲐᲒᲠᲔᲜᲐᲟᲝ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ „ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲐ“.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

1. მზადება 25 თებერვლისათვის,—ლექსი ავთ. კაშმაძის 1
2. თებერვლის დღესასწაული ოქტომბრელთა კოლექტივში,—გადმოკეთებული, ე. ა. 2
3. ხათებერვლო,—ლექსი შ. სამადაშვილის 5
4. მანევრები,—ი. რ. 6
5. არმიული,—ლექსი ავთ. კაშმაძის. 10
6. ბოსტანი,—ვ. სტერლიგოვის, თავისუფალი თარგ. ნ. . . 10
7. დამკვრელი ოქტომბრელები ქარხანაში,—ლექსი ნ. დაფნარელის . 16
8. ახალი ტრაქტორის სიმღერა,—ლექსი ალ. ბილანიშვილის. . . . 18
9. აჯანყება,—თარგმანი შ. თ. 19
10. მერი,—ლექსი შიო მღვიმელის 22
11. დაიცავით სისუფთავე,—პიესა (რუსულიდან). 23
12. ავტომობილი,—ნ. 28
13. საბავშო განყოფილება: 25 თებერვალს,—ლექსი ცაცა აღლაძის, გვ. 15; 25 თებერვალი,—ბიძინა ჟამუტაშვილის, გვ. 30; წითელი არმის 14 წლის თავი,—თ. ხელაძის, გვ. 30; სურათი: წითელარმიელები,—ნახ. სოსო აღლაძის 31
14. გააკეთეთ წითელარმიელის ქუდი,—ე. 32
15. გამოცანა,—შ. მ. . . . . გარეკანის მესამე გვ.
16. ბიბლიოგრაფია: „გაზაფხულის მარში“—ნ. ნ. . . . . „

სახელგამის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3.

შეკვეთა 1098. მთავლიტი 172. ტირაჟი 3500.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ზ ა ღ ე ბ ა

95 თებერვალისთვის

1252



,,ხვალ, ხომ იცი, რა დღე არის,
მოვემზადოთ აბა კარგად,
ჰლაკატები მრავალგვარი
დავამზადოთ სწრაფად, მარდად''.
ასე ისმის კოლექტივში,
ფუსფუსობენ, რთავენ კედლებს,
გაუმარჯოს ქმნებლობის
ჰაწაწინა ჩვენ ნორჩ მეგედლებს!
კოკის, ოთარს, ლეონს, ვეტოს—
არ სცალიათ შრომის გმირებს,
გამოძერწეს გიგანტები,
ასრულებენ დანაპირებს.
ასე მარდად მუშაობენ,
არ იციან, არა, დაღლა,
თებერვალის წითელ დროშებს
ხვალ ასწევენ უფრო მაღლა.
ოცდახუთი ასლოვდება,
მეთერთმეტედ მოვალთ წინა,
ხვალ ქუჩებში გაიშლება
ჩვენი რაზმი ლამაზ მწკრივად.

ავ. კაშმაძე.

ბ. მარქსის სახ. სახ. ... რესპუბლ. კული ბიბლიოთეკა

თებერვლის დღესასწაული ოქტომბრელთა კოლექტივში

ღრმად ჩაფიქრა მეორე კოლექტივის ოქტომბრელები იმან, თუ როგორ ჩაეტარებინათ საქართველოს გასაბჭოების აღსანიშნავი თებერვლის დღესასწაული.

— სადემონსტრაციოდ გავიდეთ! თქვა ტასომ.

— ახალი პლაკატები დავხატოთ! დაამატა შოთამ.

— მუზეუმში წავიდეთ,-წინადადება შემოიტანა სოსომ.

— ბავშვებო,- თქვა ზურიკომ,- საჭიროა კიდევ მოვიგონოთ რამეები, პიონერები პიესას ამზადებენ, ჩვენც დავდგათ პატარა პიესა.

თქვეს და შეასრულეს. მათ ამოარჩიეს პიესა, და მუშაობაც გაჩაღდა. დადგა საქართველოს გასაბჭოების დღე — 25 თებერვალი. დილით ბავშვები სადემონსტრაციოდ გავიდენ, საღამოს კი კოლექტივში დიდი დღესასწაული გამართეს. დღესასწაულს აუარებელი სალხი დესწრო: მშობლები და ორგანიზაციის გარეშე მეოთი ბავშვები.

ოქტომბრელებმა დამსწრეებს ჯერ დაათვალიერებინეს სადღესასწაულოდ მორთული ოთახები და შემდეგ წარმოდგენა ჩაატარეს. სანამ წარმოდგენას დაიწყებდენ, პატარა მოხსენებით გამოვიდა შოთა და ილაპარაკა საქართველოს გასაბჭოების 11 წლის თავის შესახებ.

დაიწყო წარმოდგენა...

სცენაზე მარჯვნით იდგენ კაპიტალისტები მაღალი, შავი ცილინდრებით, მარცხნით კი საზღვარგარეული პიონერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალისტები ლანძღავდენ საბჭოთა კავშირს და მის შესახებ არარსებულ ამბებს იგონებდენ.

— საბჭოთა კავშირში მღვდლებისაგან ძეხვებს აკეთებენ,-ამბობდენ ისინი.

— ტეუილია! — უპასუხებდენ ჰიონერები.

— საბჭოთა კავშირში მუშები ბუზებივით წუდებიან! — ეკერიოდენ კაპიტალისტები.



— ტეუილია, ტეუილია! — უპასუხებდენ ჰიონერები.

— საბჭოთა კავშირი ახალ ომს გვიმზადებს! — ღრიალებდენ კაპიტალისტები.

— სისულელეა! — უპასუხებდენ ჰიონერები. — ჩვენ ეს-ეს არის ჩამოვედით საბჭოთა კავშირიდან. ჩვენ ვნახეთ, რომ საბჭოთა მხარე ეოველდღიურად შენდება და მაგრდება; იქ უმუშევრები სრულებით არ არიან, ის ომს არავის არ გამოუცხადებს, თვითონ თქვენ, კაპიტალისტები, ამზადებთ ახალ სასაკლაოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თქვენ იცით, რომ საბჭოთა კავშირი იბრძვის მთელი ქვეყნიერების მუშების საქმისათვის, ამიტომ გეზიზღებათ ის და ათასგვარ ჭორს აგრცელებთ.

მშობლები დიდის ეურადღებით უსმენდენ ჰიესას. მათ ძალიან მოეწონათ ოქტომბრელთა კოლექტივი და თავისი ბავშვებიც ჩაწერეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

20 ახალი წევრი, — აი რას მიაღწიეს ოქტომბრელებმა თებერვლის 11 წლის თავზე.

ოქტომბრელთა მეორე კოლექტივს საზღვარგარეულ მუშათა დელეგაცია შეეჭირდა, რომ მათაც ინახულებდა. ბავშებმა გადაწყვიტეს შესახვედრად მომზადებულიყვნენ.

— ჩვენ დავწერთ ახალ პლაკატებს! — გადაწყვიტა ოქტომბრელთა ერთმა ჯგუფმა.

— ჩვენ კი ლექსებს დავისწავლით — თქვა მეორე ჯგუფმა.

მეორე დღეს პლაკატები მზად იყო. ბავშებმა ისინი კედლებზე გააკრეს. ყველაზე დიდი პლაკატი კართან იყო გაკრული, რომელზედაც ეწერა:

„სალამი უცხოელ მუშებს!“

ლექსებიც შეისწავლეს.

— ისინი რომ ჩვენ ვერაფერს გაგვიგებენ?! — წამოიყვირა ვილაცამ. — გერმანელმა მუშებმა ხომ ქართული ენა არ იციან.

მაგრამ უცბად მოაგონდათ ერიხი: ერიხი თვითონ გერმანელია და გერმანულადაც კარგად ლაპარაკობს, თუმცა ის მხოლოდ 7 წლის არის. ბავშებმა მას დაავალეს სტუმრებთან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა.

ბოლოს მუშებიც მოვიდენ.

ბავშები ჩადგენ მწკრივში და ერთად თქვეს ლექსი.

„ჩვენი მუშების, გლეხების
და ჩვენი ქვეყნის სახელით,
შორეულ მხარის მუშებო,
მხურვალედ მოგესალმებით!“

შემდეგ გამოვიდა ერიხი. მან სიტყვა გერმანულად წარმოთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრებიდან ბავშვებს მუშაქალი მიესალმა და თავისი სიტყვა ასე დააბოლოვა: „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ როდესაც ლაპარაკი გაათავა, მან მოკუმშა ხელი, ასწია მაღლა და თქვა:

— როტ ფრონტ! როტ ფრონტ!

ოქტომბრელებმა სწრაფად გააკეთეს სალამი და უპასუხეს:

— მზად ვართ!

გერმანელმა მუშებმა დაათვალიერეს კოლექტივის ოთახები და უამბეს ბავშვებს გერმანელი პიონერების მდგომარეობის შესახებ. ოქტომბრელები კი მათ უსსნიდენ 25 თებერვლის მნიშვნელობას და ეუბნებოდენ, რომ ამ დღეს დამყარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება და ბოლო მოეღო მშრომელთა ტანჯვას. საღამოს, წარმოდგენის დროს, ბავშვებმა საზღვარგარეული პიონერების სასარგებლოდ ფული შეაგროვეს.

ეი ასე ჩაატარეს თებერვლის დღესასწაული მეორე კოლექტივის ოქტომბრელებმა.

საოთხევრვლო

გულებს ხალისი ემატა,
დგას საზეიმო დარები,
ქუჩებში გადმოღვარულან
მებრძოლი პროლეტარები.

ჩვენ გაგვიელია გმირული
მტრებთან ჭიდილი, ბრძოლები,
დღეს გამარჯვებულ მუშების
მოჩანს უწყვეტი ზოლები.

და ძმობა დამყარებულა
კუნთმაგარ ყველა ერებში,
მძლავრი ხალისი აჩქეფდა
მშენებელ პიონერებში.

ენტუზიაზმი გაღვივდა,
სისხლი ძარღვებში თქრიალებს,
ბავშვების ნორჩი ხელებით
მაღლა დროშები ფრიალებს.

გულებს ხალისი ემატა,
დგას საზეიმო დარები,
ქუჩებში გადმოღვარულან
მებრძოლი პროლეტარები.

შ. სამადაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მანევრები

ეს მექანიზირებული ბრიგადაა. ხომ ხედავთ ავტომობილებს, რომლებითაცდადიან, და ავტომობილებს, რომლებითაც გადააქვთ ზარბაზნები? ამათ გარდა არის კიდევ ჯავშნოსანი ავტომობილი, დიდრონი და პატარა ტრაქტორები და ტანკები. ტრაქტორებით მძიმე იარაღი გადააქვთ.

ზაფხულში წითელარმიელებს მეცადინეობა ჰქონდათ, სწავლობდენ საბჭოთა ქვეყნის დაცვას. წითელარმიელების ერთი ნაწილი განგებ ესხმოდა თავს მეორე ნაწილს, და ისიც თითქოს თავს იცავდა. ეველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ნამდვილი ომის დროს: ისროდენ ზარბაზნებს, აეროპლანები დაფრინავდენ, ჰერიდენ ეუმბარებს, სთხრიდენ სანგრებს და ისროდენ თოფებს.

მექანიზირებული ბრიგადა დაიძრა მტერთან საომრად. გრუხუნით გადაიარეს მდინარეები და თხრილები ტანკებმა. მიქროდენ ჯავშნოსები, ტრაქტორებს მიჰქონდათ იარაღი და ეუმბარები. ზარბაზნები კი ისე ისროდენ, რომ სახლების კარებს და ფანჯრებს ზანზარი გაჰქონდა.

მაგრამ არ ეოფილა არც ერთი დაჭრილი, არც არავინ მოუკლავთ, წითელარმიელები ცდილობდენ ერთმანეთს დახმარებოდენ, ნამდვილ ომში ხომ კიდევ უფრო ძნელი მდგომარეობა იქნება, უნდა შეეჩვიონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ბრიგადა დაასვენეს. წითელარმიელები გაჩერდნენ გოგორეთში და მთელ დღეს შეეძლოთ ექინათ, ეთამაშათ, ემღერათ და ებანავათ.

გოგორეთში კოლმეურნეობა იყო. გასაფხულზე ჰური დაეთესათ და ეხლა მოსავლის გაცხარებული კრეფა იყო. ორი მამაკაცი მისდევდა ტრაქტორებს. კოლმეურნეებმა უკვე დაიწყეს ძნების გადატანა სალეწ მანქანასთან. ამოვარდა ქარი, და ცაზე ლეგა ღრუბლები აირია.

— ნეტავი წვიმა არ მოვიდეს, თორემ დაგვეკარგა დასვენება,— ამბობდნენ წითელარმიელები.

ამ დროს მებუკემ შესაკრები ბუკი დაკრა. მეომრები სირბილით მოცვივდნენ მანქანებთან.

— კრებაა, კრება!—ეკივლოდნენ მედღეურები. დიდ მინდორზე მანქანებთან უკვე დაიწყო კრება.

— ამხანაგებო, წითელარმიელებო და მეთაურებო,-დაიწყო სამხედრომა,-საცაა წვიმას დაასხამს, კოლმეურნეები ვერ მოასწრებენ ჰურის აღებას.

შემდეგ გამოჩიდა ტანკის მეთაური ქომაგაძე.

— კომუნისტმა წითელარმიელებმა გადაწყვიტეს არ დაისვენონ. ჩვენ დავეხმარებით კოლექტივს; ვის უნდა ჩვენთან ერთად დაეხმაროს კოლექტივს?

ეველამ ასწია ხელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე მიუბეს სამხედრო ტრაქტორებს სამკალი და ძნამკვრელი მანქანები.

ავტომობილებმა წაიღეს ძნები სალეწავი მანქანისაკენ. პროექტორმა გაანათა მთელი მინდორი. წითელარმიელები შეუსვენებლივ მუშაობდენ და აიღეს კიდევაც პური. ახლა შესვენებაც შეიძლებოდა.

კოკისპირული წვიმა დაასხა. მეომრები კოლმეურნეების ქოხებში მშრალად ისხდენ, მხოლოდ გუშაგები იდგენ თავიანთი ულტობელი მოსასხამებით გარეთ, საომარ მანქანებთან.

დილით ხმაურით შემოიჭრა მოტოციკლეტი გოგორეთში და მოიტანა ბრძანება — დაეწყოთ შეტევა. ატუდა განგაში.

— განგაშია, განგაში, — წამოცვივდენ მეომრები, სასწრაფოდ ჩაიცვეს და მანქანებს მიაშურეს.

გაქრობლეს მსუბუქმა ჯავშნოსნებმა-მზვერავებმა მდინარისაკენ, ახიფხიფდენ და აღრიალდენ ტრაქტორები და ტანკები.

განგაშია!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსვლელობებმა ამბავი მოტანეს: წვიმას გზა გაუფუჭებია და ხიდზე თეთრი ბაირაღიაო. ეს იმის ნიშანია, რომ ხიდი მტრებს აუფეთქებიათ. საჭიროა გზების შეკეთება, აგრეთვე ახალი ხიდის გაკეთებაც. მდინარის გაღმა კი გრუხუნებს მტრის ზარბაზნები, და მდინარეს თავს დასტრიალებენ მათი აეროპლანები.

ტანკისტები არ შეშინდენ.

—არა უშავს, ჩვენსას გავიტანთ,—ამბობენ ისინი.

და მიბობღავენ ტანკები ტყეში და ღრეში, მიბობღავენ აღმართში. მათ უნდა დაიცვან ბრიგადა, სანამ გზას არ შეაკეთებენ, სანამ ხიდს არ დააგებენ.

მოვარდა ცხენით მსედარი, ყვირის:

—ჩქარა, ბრძოლაში უნდა გვიშველოთ, აი ბრძანება.

წითელარმიელები მუშაობენ, რაც ძალი და ღონე აქვთ, აფენენ გზაზე ფიჩხს, აყრიან სილასა და ღორღს. მეთაურები კი თავს ადგანან და აჩქარებენ.

ამ დროს გამოჩნდა გოგორეთიდან სალხი, მორბიან ვინ ნიჩბით, ცულით, თოხით, წერაქვით, მოაქვთ ორი ურემი ჩალა.

—თქვენ დასახმარებლად მოვედით,—უთხრა ბრიგადის მეთაურს კოლექტივის თავმჯდომარემ. გაჩაღდა მუშაობა.

არ კასულა ნახევარი საათი, რომ შეკეთებულ გზაზე დაიძრა საშხედრო მანქანები.

—მშვიდობით, მადლობელი ვართ! — გასძახოდენ მეომრებს კოლმეურნეები.

—მადლობელი ვართ თქვენიც,—აძლევდენ პასუხს წითელარმიელები.

გრუხუნებდენ ჯავშნებით ტანკები და ავტომობილები, რახრახი გაჰქონდათ ტრაქტორების ძრავებს.

მექანიზირებული ბრიგადა საომრად მიდიოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა რ მ ი ე ლ ი

მოგვაქვს გულები რკინებად,
მოგვაქვს ფოლადის ხელები,
საბჭოთა ქვეყნის მცველებად
მზადა ვართ არმიელები.
შორს ხედვა ჩვენი ვალია,
მტერს მტრულად მოვეკიდებით,
ბრმოლების ქარიშხალია
ჩვენი საშსედრო კიდენი.
მტრებს სისხლი ყელში აწვებათ,
კუნთებსაც აღარ ინდობენ,
და ჩვენზე გამოლაშქრებას
ოოველ წუთს და წამს ფიქრობენ.
ჩვენი რაზმები გადიგლის
საბჭოთა ქვეყნის მთა-გორებს,
სოფელს მიუტანს ჯანიან,
ფოლადით ნაწრთობ ტრაქტორებს.
ასე ვიზრდებით რკინებად,
მოქმედობს ჩვენი ხელები,
საბჭოთა ქვეყნის მცველებად
მზადა ვართ არმიელები.

ავთანდილ კაშმაძე

ბ ო ლ ვ ა ნ ი

საქმე აი როგორ დაიწყო: დეკემბერში ერთ მიყრუებულ ქუჩაში მიდიოდა ცხენიანი კაცი და ყვიროდა:

— კარტოფი-ი-ლი! კარტოფი-ი-ლი!

მოსწრებაშვილებმა იყიდეს ორი ტომარა, ერთი მაშინვე დადგეს სახარჯოდ, მეორე კი კალათში ჩაყარეს, ჭილობი გადააფარეს და ბნელ ოთახში დადგეს.

როდესაც მოსწრებაშვილებმა

პირველი ტომრის კარტოფილი შეჭამეს, ნანიკო წავიდა ბნელ ოთახში კარტოფილის მოსატანად, მაგრამ ყვირილით უკან-ვე გამოვიდა.

— ოი, ოი! რა მოხდა, ნახეთ, რა დაემართა კარტოფილს!

ყველანი მისცვივდენ სანახავად.

აპოლონმა მოირბინა.

მათიკომ მოირბინა.

დედაც მოვიდა.

ნანიკოს ხელისგულზე კარტოფილი ედვა. კარტოფილს თეთრი ულვაშები გამოსვლოდა, ფესვები გასჩენოდა.

მამიდა შეშინდა: კარტოფილი წახდებაო. რომ არ წამხდარიყო, ბავშები კარტოფილის ულვაშების დასაგლეჯად დასვა.

შემოუსხდენ ბავშები კალათს და ჰგლეჯდენ კარტოფილის ულვაშებს. ჯერ უხაროდათ, ერთობოდენ, შემდეგ კი მობეზრდათ, მოსწყინდათ! ძლივს-ძლივობით აცლიდენ ულვაშებს.

უცებ აპოლონმა წამოიძახა:

— მე მოვიფიქრე!

— რა მოიფიქრე? — ჰკითხა ნანიკომ.

— არ ვიტყვი!

— მაშ სულელი ხარ.

— მაინც არ ვიტყვი!

— სულელი ხარ.

— მაინც არ ვიტყვი!

— არც საჭიროა.

აპოლონმა მართლა მოიფიქრა: ამოარჩია კარტოფილი, რომელსაც ულვაშები ობობას ფეხებივით ჰქონდა, და განზე გადადვა. როდესაც ბავშებმა კარტოფილს ულვაშები დააძ-

რეს, აპოლონი კარადაში შეძვრა. კარადის ქვედა თაროზე დაუანგული სამოვარი, დანჯღრეული ხონჩა, ძირგავარდნილი ქვაბები, ქილები, ბოთლები და ყვავილის ქოთნები ეყარა.

აპოლონმა გამოათრია ყვავილის ქოთანი, ამოფხიკა მამიდის ყვავილის ქოთნებიდან მიწა და ჩარგო შიგ კარტოფილი.

— იყოს, გაიზარდოს!

ყვავილის ქოთანი საწოლის ქვეშ დამალა, რომ არავის ენახა.

დილით გამოიღვიძა თუ არა, პირველად კარტოფი დ ახ ̣ ̣ ̣ ̣: იქნება ამოვიდაო.

არა, არ ამოსულა.

მეორე დღეს ყველაზე უწინ კარტოფილი ნახა:

— იქნება ამოვიდაო.

არა, არ ამოსულა.

მესამე დღეს აპოლონს მოეჩვენა, თითქოს ცოტათი ამოდის მეოთხე დღეს კი ცხადი შეიქნა, რომ იზრდებოდა.

მაშინ აპოლონმა ნანიკოს და მათიკოს დაუძახა:

— ვა'შა! ხომ მოვიფიქრე!

— რა მოიფიქრე?

— კარტოფილი!

აპოლონმა აჩვენა ყვავილის ქოთანი. მიწიდან' მწვანე ულვაშები მოძვრებოდა.

აპოლონი ხტოდა კარტოფილის ირგვლივ და აჯავრებდა გოგონებს.

— ჰო, რაო? თქვენ ხომ ვერ მოიფიქრეთ, გოგოები კი ხართ!

ნანიკო და მათიკო შურისაგან ხმას ვეღარ იღებდენ: აბა რა უნდა ეთქვათ, აპოლონმა ხომ კარტოფილი მოიფიქრა.

მოსწრებაშვილები პირველ სართულში ცხოვრობდენ. მათი ბინა ნამდვილი ბაზარია: გაუწყვეტელი ხმაურობა, გრუხუნი, ყვირილი! ვერც კი შეხვალ მათთან. შეხვალ თუ არა, ცხვირში რუჯის სუნი გეცემა, კვამლია, ჭვარტლი.

რა ამბავია? მოსწრებაშვილების „კეროსინკას" ამოუწევია. საჭმელი დაიწვა: მამიდას დაავიწყდა, რომ დადგმული ჰქონდა.

საჩქაროდ მოუკეტავ კარს და ალარ შეხვალ.

როდესაც აპოლონი მოვა სკოლიდან, მაშინ ხომ:

— ნანიკო ყვირის,

აპოლონი ყვირის,

მამიდა კვნესით გაიძახის:

— ნანიკო, მათიკო, მოდით აქ, სიცხეს გაგიზომავთ!

ყველაზე უფრო დეიდას გადამდები ავადმყოფობის ეშინია:

— ვაი თუ საოფლე ყოის, ვაი თუ ხუნაგია?

ერთხელ, როგორღაც, როდესაც აპოლონი სკოლიდან მოვიდა და ბინაში კი ბუზის ბზუილს გარდა არაფერი ისმოდა, აპოლონმა იფიქრა:

— ნეტავი სად გადიკარგენ ყველანი?

მერე დაიყვირა:

— ჰეი, თქვენ, დაიხოცენით, თუ რა ამბავია?

უცებ საიდანღაც ნანიკო და მათიკო გამოხტენ, შევიდენ ოთახში და ისე მაგრად გაიხურე კარი, რომ სახლმა ზანზარი დაიწყო.

აპოლონმა გაიგონა, როგორ მოატრიალეს გასაღები კლიტეში და კარი ჩაკეტეს.

— ჩვენც მოვიფიქრეთ!—დაიძახა ნანიკომ.

— ჩვენც მოვიფიქრეთ!—დაიძახა მათიკომ.

მათიკოს წინა კბილები გამოუვარდა, „რ"-ს ვეღარ ლაპარაკობდა.

აპოლონმა ჰკითხა:

— რა მოიფიქრეთ?

— არ ვიტყვით, — თქვა ნანიკომ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ა ვიტყვით, — თქვა მათიკომ.

აპოლონს ეწყინა.

— სულელები ხართ!

— ა ვიტყვით, — თქვა ნანიკომ.

— მაინც არ ვიტყვით, — თქვა მათიკომ.

— ჰოდა, სულელები ხართ. ძალიან საჭიროა ვიცოდე, რა მოიფიქრეთ.

და წავიდა თავისი კარტოფილის სანახავად.

ნანიკომ და მათიკომ კი მართლაც მოიფიქრეს.

აპოლონი რომ სკოლაში იყო, ნანიკო და მათიკო იმ დროს სამზარეულოში ფუსფუსებდენ, ასხამდენ წყალს, მოჰქონდათ დეიდის ყვავილების ქოთნებიდან მიწა და ჰყრიდენ რკინის ქილაში.

საღამოსთვის კი ყველაფერი მზად იყო.

გოგონებმა დაუძახეს აპოლონს.

— პოლიკო, მოდი, ნახე, რა მოვიფიქრეთ.

აპოლონი შევიდა. ფეხქვეშ მიწა ახრაშუნდა. მაგიდის ქვეშ წყალი დგას, მაგიდაზე რკინის ქილაა და შიგ ხახვია, გაზრდილა კიდევაც ერთი გოჯის სიმაღლე.

აპოლონმა თვალები დაჭყიტა.

— გაიზარდა კიდევაც?

— გაიზადა!

— გაიზადა! გაიზადა, გაიზადა! გაიზადა! დიდი ხანია გაიზადა!

— როდის გაიზარდა?

— გუშინ!

— გუსინ!

— სტყუით!

მათიკოც აჩიფჩიფდა: სამზარეულოს მაგიდაში ვნახეთ ხახვი, თვითონ გაზრდილიყო.

— აჰა, ხომ ვერ მიხვდი, და ბიჭი კი ხარ!

აპოლონმა დაათვალიერა ხახვი ყოველი მხრიდან და თქვა:

— დარგვა მაინც არ იცით. მიწა უნდა შემოაყაროთ.

— როგორ შემოვაყაროთ?

— ისე.

როგორ ისე — არ თქვა და წავიდა.

როდესაც მამიდამ თავისი ყვავილის ქოთნებში ჩაიხედა და და ნახა, რომ მიწა ნახევარი ამოღებულია, მწუხარებისაგან კინაღამ ლოგინში ჩაწვა. აპოლონს კი ნანიკოს და მათიკოს ხახვი მოსვენებას არ აძლევდა. აპოლონი ფიქრობდა; „რასაკვირველია, ჩემი კარტოფილი ბევრად უმჯობესია, მაგრამ იმათი ხახვი რომ იმოდენა გაიზარდა... რა იქნება, რომ კიდევ დავრგო კარტოფილი? ხუთი თავი? მაშინ რას იტყვიან? არა, ხუთი ცოტაა, უმჯობესია ათი... მაშინ რაღას იტყვიან!“

აპოლონმა იფიქრა და გადაწყვიტა: „არა, კარტოფილის დარგვა არ ღირს!“

და უცებ დაიყვირა:

— მოვიფიქრე, მოვიფიქრე!

მათიკომ ჰკითხა:

— რა მოიფიქრე?

— საიდუმლოა!

სკოლიდან აპოლონი ორი საათით უფრო გვიან მოვიდა.

დეიდამ მიირბინა და ჰკითხა:

— ავად ხომ არ ხარ? სად იყავი?

— საიდუმლოა!

წიგნები კუთხეში მიაგდო, სარდაფში გაიქცა და ნახშირის ყუთი ამოათრია.

ნანიკომ ხელები გაასავსავა.

— რად გინდა, პოლიკო, ამოდენა ფუთი?

— საიდუმლოა.

დაფერთხა ყუთი იატაკზე, სამზარეულოში ნახშირის მტვერი ავარდა.

აპოლონმა დაავლო ხელი საბანგვე ვედროს და გარეთ გავარდა.

მამიდამ გაყო თავი ფანჯარაში და დაიყვირა:

— აპოლონ, აპოლონ, სად გარბიხარ?

— საიდუმლოა, — და მიიმალა.

ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა და კარგი მიწით სავსე ვედრო მოიტანა.

— ოი! სეხედე, სეხედე, პოლიკომ ამდენი მიწა მოიტანა! ათ გინდა ამდენი?

— საიდუმლოა.

აპოლონმა შეათრია ვედრო ოთახში და კარი ჩაიკეტა. ნანიკო და მათიკო ჩაცუცქდენ დაკეტილი კარის წინ და შეიხედეს კლიტის ხვრეტილში, ხვრელში კი გასაღები იდო და არაფერი ჩანდა.

ნანიკო და მათიკო მიხვდენ, რომ აპოლონი რაღაცას რგავს, მაგრამ რას — ვერ მიხვდენ.

ბოლოს აპოლონმა დაუძახა დებს. გოგონები შევიდენ; ხედავენ: — ნახშირის ყუთი დგას შუა ოთახში, შიგ მიწა არის და სხვა არაფერი.

ნანიკომ ჰკითხა:

— მერე, აბა რა არის აქ საკვირველი?

— ეჰ, შენ არაფერი არ გესმის! კომბოსტოა!

— სად?

— აქ.

— აქ?

— აი, აქ, ყუთში. აი, ახლა დავთესე, თესლი გაკვეთილის შემდეგ მაღაზიაში ვიყიდე, ერთი ვედრო მიწაც საჩქოლეში ვიყი-

დე ათ შაურად. ჩქარა ნერგები იქნება, მერე კი კომბოსტო გაიზრდება.

— არაფერი კომბოსტო არ ამოვა.

— არა, ამოვა.

— არა, არ ამოვა!

— არა, ამოვა.

გოგონებმა სიმღერა მორთეს:

— არ ამოვა, არ ამოვა, არ ამოვა!

და ასკინკილით გავიდენ ოთახიდან.

აპოლონმა სიმღერით მიაძახა:

— ნანიკო—გოდორი,
წინ რეზინი,
უკან დოლი,
გადირბინა მთელი გორი.

ჯერ ნანიკოს უმღერა, მერე კი ისევ ეს სიმღერა მიაძახა მათიკოსაც.

მათიკომ შეყო თავი აპოლონის ოთახში და უთხრა:

— ჩვენ კამა მოვიფიქრეთ!

ნანიკო მივარდა მათიკოს.

— სულელო, რატომ უთხარი!

უკვე გვიანი იყო: აპოლონმა დაინახა ხახვის ქილა და შეს გვერდით ყვავილის ქოთანი. სწორედ ამ ქოთანში იყო დათესილი კამა.

აპოლონმა ჰკითხა:

— სად შოულობთ თესლს და მიწას?

— მამიდამ მოგვცა. თესლიც გვიყიდა და მიწაც: უმჯობესია, თვითონ გიყიდით მიწას, რომ ჩემი აღარ წაიღოთო.

მეორე დღემ აპოლონმა თქვა:

— მე თვის ბოლოკი დავთესე.

მეორე დღეს გოგონებმა თქვეს:

— ჩვენ თალგამი დავთესეთ!

და მოჰყვნენ: აპოლონმა დათესა სტაფილო, გოგონებმა—მუხუდო. აპოლონმა—სალათი, გოგონებმა—ოხრახუში.

ერთი თვის შემდეგ ბავშებს ნამდვილი ბოსტნები ჰქონდათ.

თარგმ. ნ.

---

25 ოქტომბერს

განთავისუფლდა ჩვენი ქვეყანა
და დაამარცხეს მენშევიკები,
განთავისუფლდა მშრომელი ხალხი
და მუშაობენ მხიარულები.
ბევრს მუშაობენ, ბევრსაც იღებენ
და აშენებენ სოციალიზმსა,
ძველი დაინგრა, ახალს ვაშენებთ
და ახალ დროში ვიბრძოლებთ ჩვენა.
ჩვენც შევეჩვევით ახალ ცხოვრებას
და ჩვენც ვაშენებთ სოციალიზმსა.

ოქტომბრელი ცაცა აღლაძე.

ლამაზრევი ოცოცხალრევში ქარხანაში

ხანდა, ხდეს დარბაზი:
ოქტომბრელთა არის კრება,
ეკლა, ქარხნის გამოქელვა,
ბრიგადამ ეკრება.

დარბაზელებს ეგზეკლები:
ხატო, ბასო, ვიკა, ლეკან,
რომ ხასწორეთ მოახდინონ
წარმოების გამოკვლევა.

ეს, მაგალითს ეს დაუკმენ,
ეს, როგორი ეროვანია!
ბრუნავს ნარჩი, ლეკდი, ხელი,
და ტუმბოც მიდელია!

ბლაკტები და ხეტები
ნაირფერი ეკლის ამოიან,
და ეკლა ეს წარმოების
მიღწევებზე ლაპარაკობს.

1252

მაგრამ არის „ერეკვაც“ და
ხამარცხეთონ მეი დიეა,
თუმცა ამ ნაკლს სიცოცხლისა
ხლობს მტანეკ ძირი ხერეგად.

მიღწევა და ნამორჩენი
ორივ ხეორად მეგაბეს,
დაეგეურდეს ხანქარიდ და
ხეტეს ხელად კედლის კაბეის.

1252

შეადგინეს წერილები
ტუმბზე, ნაკლზე, მიღწევაზე.
ზოეი ხატეს, ზოეიც კაბეის
ციურებით და ცხრილით აეხეს.

აკა, მორჩენ, გამოაკრეს,
ნაკლს „მიღწევებს ადარებენ
და „ეხაზეერი ხიხარულით
იცინიან ხატარები.

ნიკ. დიუნარელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალი ტრაქტორის სიმღერა

რკინისა ვარ,
მაგარი,
ელვარე და ახალი,
    მიწის კარგი მხვნელი,
    გლეხის მარჯვე ხელი!
რა თქმა უნდა,
მამაპაპურ გუთანს
მე ვჯობივარ მუდამ.
    ეს მე ვარ ტრაქტორი,
ბობოლას გულქვას
რომ ვუხუთავ სუნთქვას.
მე დამამზადეს-ამაგეს
დამკვრელმა ბრიგადელებმა
და აქ კი მიამსანაგეს
საბჭოთა დიდმა ველებმა.
კოლექტივის ფართობებს
ჩემი ბორბლები ართობენ.
სიხარულით ვათრთოლებ
მშრომელთა გულებს,
ერთ დროს დაჩაგრულებს!
სიღარიბეს, გაჭირვებას
ვსპობ და ვანადგურებ,
თანასწორ შრომას
ვქმნი და ვასადგურებ.
რკინისა ვარ, ახალი,
ელვარე და მაგარი!
ტრახ, რახ, ტრახ, რახ,
უამირს კარგად ვხნავ...
კოლექტივის ფართობებს
ჩემი ბორბლები ართობენ,
სიხარულით ვათრთოლებ
მშრომელთა გულებს,
ერთ დროს დაჩაგრულებს!

ალ. ბილანიშვილი.

ᲐᲮᲐᲜᲧᲔᲑᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამხდარი ჰენრი, გაზეთების გამყიდველი ბიჭი, ხარბად მისჩერებოდა მაღაზიის ვიტრინაში ლამაზად დალაგებულ ნაირ-ნაირ საჭმელს: აი ძეხვები, ვარდისფერი ლორი, ახალი თევზი, მშვენიერი ყველი, ხილი ..

ოჰ, რა სიამოვნებით შესჭამდა ჰენრი ყველაფერს, რაც კი არის ამ მაღაზიაში! ის გაზეთებს ჰყიდის, მაგრამ იმდენს ძლივს შოულობს, რომ შიმშილით არ მოკვდეს.

მაღაზიაში ცოტა იყო მყიდველი, მაგრამ გარედან, ჰენრისთან ერთად, ბევრი მისჩერებოდა ნაირ-ნაირ საჭმელს ნერწყვმორეული.

ამ მაღაზიასთან თუ არ იყო რიგი, სამაგიეროდ სხვა ადგილას მრავალი ათასი ადამიანი იდგა რიგში. ჰენრიმ იცოდა ის ადგილი—ეს იყო ქალაქის მიერ უმუშევართათვის გახსნილი ლამის გასათევი სახლი და საქველმოქმედო საზოგადოებათა სასადილოები, სადაც უმუშევრები რამდენიმე საათს იდგენ რიგში, რომ მიეღოთ პური და თხელი ყავა.

ჰენრიმ ამოიხვნეშა და გაზეთებით მიაშურა გზაჯვარედინს.

—უკანასკნელი ცნობები! კრიზისი ევროპაში! ფერმერები ოკეანეში ჰყრიან ხორბალს! უკანასკნელი ცნობები! — გაჰკიოდა ჰენრი და გაზეთს აჩეჩებდა გამვლელ-გამომვლელს.

ჰენრიმ იცოდა, რას ჰქვია კრიზისი. „როდესაც ყველაფერი ბევრია, ძალიან ბევრია, ფული კი არ არის, რომ იყიდო...



გემმა ზღვაში უნდა გადაყაროს 250 ათასი ფუთი ხორბალი

ფული არ არის, იმიტომ რომ სამუშაო არ არის, სამუშაო კი არ არის, იმიტომ რომ გასაკეთებელი არაფერია, ყველაფერი ბევრი დაამზადეს, უფრო მეტი, ვიდრე საჭიროა".

ფერმერების კავშირი ოკეანეში ჰყრიდა ხორბალს. კალიფორნიის ფერმერების კავშირი კულაკების და მემამულეების ხელშია, იმათ იმდენი ხორბალი დაუგროვდათ, რომ ხორბალი არ ღირს იმდენი, რამდენიც ჯდება მისი შენახვა.

მუშები კი მთელი საათობით იდგენ რიგში ლუკმა პურისთვის.

ფერმერების კავშირმა ხორბლით დატვირთა გემი „ჩიფ". 250 ათასი ფუთი ხორბალი ლამე ჩუმად უნდა გადაეყარათ ზღვაში: ფერმერებმა იფიქრეს, იქნებ ამით მაინც გავაძვიროთ პურიო.

ამავე დროს ჩინეთში წყალდიდობამ დაამშია მრავალი მილიონი ადამიანი.

სან-ფრანცისკოდან ჩუმად გავიდა ზღვაში „ჩიფ". კაპიტანი ჰერვისი, რასაკვირველია, შეასრულებს ბრძანებას, ის წყალში გადაჰყრის 250 ათ ფუთ ხორბალს.

„ჩიფ"-ის მეზღვაურებში უთი კომუნისტია — ორი ცეცხლფარეში, მექანიკოსი ჯონსი, კაპიტნის მესამე თანაშემწე ხარნიში და ერთი მატროსი.

მეზღვაურების მიტინგი გემზე

ღამით, როდესაც კაპიტანს და მის პირველ ორ თანაშემწეს ეძინა, გემის ქვედა სართულში მიტინგი გაიმართა.

— ამხანაგებო! — ამბობდა ჯო - სი. — თუ კაპიტალისტები შეიშალენ და ზღვაში ჰყრიან ხორბალს, როდესაც მრავალი ასიათასი მუშა მშიერია და ლუკმა პური ენატრება, ნუთუ ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ კაპიტალისტებს ამ საქმეში? ამხანაგებო! ჩემი აზრით, ჩვენ ზღვაში კი არ უნდა გადავყაროთ, დამშეულებს უნდა მივაწოდოთ ე ხორბალი...

დილაადრიან გემმა "ჩიფ" ჩინეთისაკენ გადაუხვია. კაპიტანი, ორი თანაშემწე, რადისტი და უფროსი მექანიკოსი დატუსაღებულნი ისხდენ თავის ოთახებში.

[redacted]

გამხდარი ბიჭები დარბოდენ უზარმაზარი ქალაქის ქუჩებში და გაზეთებს სთავაზობდენ გამვლელ-გამომვლელებს.

აი გაიქროლა ჰენრიმ, მეგაზეთე ჰენრიმ, რომელიც ყოველდღე მისჩერებია მალაზიის ვიტრინაში დალაგებულ გემრიელ საჭმელს, მისჩერებია, ნერწყვი მოსდის, მაგრამ...

— უკანასკნელი ცნობები! საინტერესო გაზეთი! აჯანყდა გემი „ჩიფ"! კომუნისტმა მეზღვაურებმა მთელი ხორბალი ჩინეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტს გადასცეს! აჯანყებულები მოხალისეებად შევიდენ ჩინეთის წითელ ჯარ...

აღარ დასცალდა ჰენრის ხიტყვის დასრულება: ვილაცამ თეთრხელთათმანიანი ხელი და-

ჰენრი მიჰყავთ პოლიციაში.

აფარა პირზე. ჰენრიმ მიიხედა და ორი პოლიციელი დაინახა.

— აჰა, ეს ხომ ჰენრია, პიონერების წინამძღოლი, — თქვა იმ პოლიციელმა, რომელმაც დაიჭირა ბიჭუნა.

— აბა, ჯეკ, პოლიციაში გაგზავნე ახლავე. მე გაჩვენე , როგორ უნდა პროპაგანდა!

ჰენრი წაიყვანეს.

ფერმერების კავშირი მეორე გემს ტვირთავდა ზღვაში გადასაყრელი ხორბლით.

მრავალი ასიათასი უმუშევარი ქალაქის სხვადასხვა ადგილას მთელი საათობით იდგა რიგში ლუკმა პურის მისაღებად...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერი

დილით ადრე ჰირისაბანს
მიაშურებს მუდამ მერი,
სუფთად, კოხტად ჰირდაბანილს,
გიამება, რომ უცქერი.

კბილებს ძალზე დაიხეხავს,
ცარცით ისე დაიღვრეკავს,
რომ სულ თეთრად უქათქათებს,
კუდრაჭულად რო დაკრეკავს.

სახეს ტილოს ჰირსახოცით
შეიმშრალებს, შეიწმინდავს
და ამასვე იმეორებს
ჩაის შემდეგ, რომ დაბინდავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თმებისათვის როდი კმარობს
გზდაისვას მარტო ხელი,
უეჭველად უნდა ნახოს
თავის სუფთა საყარცხელი.

დაიწმენდავს ნუნებს, ფრჩხილებს,
არ დასტოვებს ისე უურებს,
ზოზინით და სიზარმაცით
დედას სულ არ მოიმდურებს.
სწავლაშიაც ჰიონერსა
ვერავინ ვერ გაახუნებს,
ამისთანა ბეჯით დოდოს
განა ვინმე დაიწუნებს?!

შიო მღვიმელი.

წარმოდგენა ოქტომბრელებისთვის

მოქმედი პირნი: ხელმძღვანელი.
ოთარი.
ოთარის დედა.
მასწავლებელი.
ხუთი-ექვსი მოწაფე-მეეზოვე.
მილიციონერი.
ხუთი-ექვსი მუშა.
ძაღლი (ასრულებს პატარა ბავში)

სურათი 1.

დახურული ფარდის წინ, მარცხნით დგას მაგიდა. გამოდის ხელმძღვანელი, ხელში ბავშის ჭუჭყიანი პალტო უჭირავს.

ხელმძღვანელი. სამწუხაროა ოთარის ამბავი! ბინძური ბიჭია! შეხედეთ, რით აუვსია პალტოს ჯიბეები. (იღებს ჯიბიდან სხვადასხვა საგანს და აწყობს მაგიდაზე.) ქვები, მავთული, ბუტერბროტი, ჟანგიანი ლურსმანი, ნაკბეჩი ვაშლი და გამოხრული ძვალი! (იხდება ფარდა, კედელთან დგას საწოლი, რომელზედაც წევს ოთარი. ოთარს სძინავს. ოთახში უწესრიგობაა, კედელზე პირსახოცთან ერთად წინდები ჰკიდია. შარვალი და ხალათი საწოლის ქვეშ ჰყრია. ფეხსაცმელები სკამზე დევს).

ხელმძღვანელი (პალტოს სკამზე ჰკიდებს). აი, ოთარს სძინავს. ნეტავ ვიცოდე, როგორ გაჩნდა პირსახოცთან წინდები, ან რა უნდა შარვალს და ხალათს საწოლის ქვეშ; ფეხსაცმელების ადგილი განა სკამზეა? (გადის. ისმის საათის რეკა. 12 საათია)

დედა (ხმა კულისებიდან). ოთარ, ადექი, უკვე დროა, ჩაი დალიე.

ოთარი (ზარმაცად, თვალების სრესით). ეხლავე... ეხლავე... (ამთქნარებს. შემოვარდება ყეფით ძაღლი, წაავლებს პირს ოთარის ხალათს, გამოათრევს საწოლის ქვეშიდან და დაარბენინებს ოთახში)

ოთარი (წამოხტება). დედა, ცუგამ შარვალი მომტაცა! (დასდევს ძაღლს) ცუგა, მომეცი შარვალი, მომეცი! (წაართმევს) ოჰო, შარვალი გახეულა.

დედა (ხმა სცენიდან). ოთარ, ჩქარა, დროა, ადექი!

ოთარი. ეხლავე, ეხლავე! (მიიხედ-მოიხედავს) კიდევ ახალი დარდი: აღარ მახსოვს, ხალათი სად წავიღე. (ამ დროს ძაღლი საწოლიდან გამოათრევს ხალათს და ფეხებით და კბილებით ჰგლეჯს)

ოთარი (ხალათს თავისკენ ეწევა და მოფერებით). ცუგა, გაუშვი! ცუგა, მომეცი!

დედა (შემოვა). ოთარ, გაცივდა ჩაი.

ოთარი (ძაღლს წაართმევს ხალათს და ათვალიერებს). ესეც გაუხევია. ეჰ, ჩავიცვამ გახეულს. (იცვამს ხალათს, სკამიდან იღებს ფეხსაცმელებს) ნეტავ ვიცოდე, რათ არის სველი ეს ფეხსაცმელები. (ჩაფიქრდება) ჰოო, მართლა, გუშინ წყალი გადამესხა. (ფეხსაცმელში ჩაჰყოფს ხელებს) უჰ, ხელზე რაღაც მიმეკრა! (ამოათრევს ფეხსაცმელიდან პატარა ჭუჭყიან კენჭს, ათვალიერებს, დაყნოსავს). კამფეტი!

დედა (მოუთმენლად). ოთარ, ჩაიცვამ თუ არა ბოლოს და ბოლოს!

ოთარი. სად არის, მერე, ჩემი წინდები? უწინდოდ ხომ არ ვიარი. ალბათ ცუგამ წაათრია (მივარდება ცუგას და ყურებს უწევს). ცუგა! სად არის წინდები, ჩქარა მიპასუხე!

დედა. უჩაიოდ დარჩები, ოთარ!

ოთარი (ხელში ბალიში უჭირავს და ცუგას უმიზნებს). ცუგა, სად არის წინდები, თქვი! ერთი... ორი... სამი (ბალიში ცუგას ასცდა და დედას მოხვდა).

დედა. ეს რა საძაგელი ბიჭია! (ჩამოიღებს კედლიდან წინდებს და გადაუყრის ოთარს) აი წინდები. თვალი უნდა გაახილო... (ოთარი ზარმაცად იწყებს ჩაცმას)

ფარდა.

სურათი 2.

ხელმძღვანელი (გამოდის დახურული ფარდის წინ). გავიდა ორი წელიწადი. ოთარი გაიზარდა და სკოლაშიც დაიწყო სიარული. შარვალი კი ისევ დახეული აცვია, ხალათი ისევ ჭუჭყიანი აქვს და წინდებიც დახეული. ის სკოლაშიც ამ სახით მივიდა (აიხდება ფარდა. მოჩანს კლასის ნაწილი. კედლებზე დიდი გეოგრაფიული რუკა ჰკიდია. მარცხნით მაგიდა დგას მასწავლებლისათვის.)

ხელმძღვანელი (გააღებს წინა მერხს). აი, შევიხედოთ ოთარის მერხში. (იღებს მერხიდან სხვადასხვა საგანს და აჩვენებს მაყურებლებს). გეოგრაფიის რუკა (გადააბრუნებს რუკას). ზედ ქონის ორი ლაქა. (ლაქებს ხელით აჩვენებს). ეს ოთარის რვეულებია. ერთს შოკოლადის კვალი ემჩნევა, მეორეზე კი კვერცხია გადასხმული. და ლაქები, ლაქები დაუსრულებლად. აი, სახელმძღვანელო, მას ყდა უკვე აგლეჯილი აქვს. ხედავთ, გატეხილი კოვზი, დამტვრეული კალმისტარი. ეს რაღა არის? ძეხვის ყანი... (გადის. ისმის ზარის რეკა! შემორბიან ბავშვები, იღებენ წიგნებს, რვეულებს და ჩუმად ლაპარაკობენ ერთიმეორეში).

ოთარი. ზარი დარეკეს. გაკვეთილი იწყება. მალე მასწავლებელიც შემოვა. მან მოთხრობა მოგვცა წასაკითხად— „ჩინეთის საზღვრებზე“, გვერდი სამოცდაჩვიდმეტი (იღებს სახელმძღვანელოს და ფურცლავს). „ჩვენი კოლმეურნეობა“, „პირველი მაისი“. სად არის 77 გვერდი? მგონი ასეთი გვერდი აქ სულ არ არის! (თავზე ხელს წაივლებს) ჰოო, მომაგონდა, იმ ფურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცელში ვინიგრეტი გავახვიე. (იღებს მერხიდან ვინიგრეტიან ფურცელს და ვინიგრეტს მერხში ჰყრის) ვიპოვე, ვაშა! (ფურცელს ხელში ატრიალებს და შეწუხებულია) მთლად დასველებულია. შუაში კი გახეულა კიდეც. (ფურცელს იატაკზე გადააგდებს) ჩვენ გაკვეთილად გვქონდა კიდევ რუკაზე ჩინეთი. (სასწრაფოდ გადაშლის რუკას) აქაც უბედურება! ჩინეთი აღარა ჩანს, მელანია გადასხმული. (დაღონებული) რა ვქნა? მალე მასწავლებელი შემოვა, მე კი გაკვეთილი არ ვიცი. მთელ ჯგუფში შევრცხვები.

ბავშები. მასწავლებელი მოდის, მასწავლებელი... (შემოდის მასწავლებელი, დინჯად გადაშლის ჟურნალს, ათვალიერებს, გამოიძახებს ოთარს).

მასწავლებელი. ერთი ეს გვითხარი, ოთარ, სად არის ყვითელი ზღვა? ან რა წაიკითხე შორეული აღმოსავლეთის შესახებ? აბა გვიჩვენე რუკაზე ამური. (ოთარი ზანტად დგება და მიდის რუკასთან).

ოთარი (აბუზული შესცქერის რუკას) ყვითელი ზღვა... ამური... (ხელებს აფათურებს რუკაზე და ასახელებს სულ სხვა ადგილს) აქ უნდა იყოს... (ბავშები იცინიან)

მასწავლებელი (დაცინვით). ჰო, სწორია! (სერიოზულად) მე ვხედავ, რომ შენ რუკაზე არც დაგიხედავს.

ოთარი (დაბნეული). მე უცაბედად დამეხა მოთხრობა, რუკაზეც მელანი დამეღვარა.

მასწავლებელი. ძალიან კარგი! საუცხოვო პასუხია. რას იზამ... უნდა დაგიწერო „სტ.“ (ჟურნალში სწერს ნიშანს. ოთარი თავჩაღუნული მიდის მერხისაკენ)

ფარდა.

სურათი 3.

აიხდება ფარდა. სცენა ქუჩას წარმოადგენს. ქუჩაში რამოდენიმე ხეა და გრძელი სკამი დგას. ხესთან სანაგვეა. ზევით კი პატარა დაფა ჰკიდია, რომელზედაც სწერია: „დაიცავით სისუფთავე! დარღვევისათვის ჯარიმა“ შემოდის ოთარი.

ოთარი. მომბეზრდა სწავლა... ჩინეთი, შორეული აღმოსავლეთი... (მიიხედ-მოიხედავს) რა მყუდრო ქუჩაა, ეს სკამიც მშვენიერია! (სკამზე წამოწვება) უსაქმობა მართლაც მავნე ჩვეულებაა. (გაიხედავს) ოჰო! ხეზე ჩიტი შემოფრენილა. ამას ეხლავე როგატკას ვესვრი. (დაიწყებს როგატკის ძებნას ჯიბეებში და ძებნის დროს



ჰერის ჯიბიდან სხვადასხვა ნაგავს) აი საკვირველი ამბავი! იყო როგატკა და აღარ არის.

მეეზოვე (ხმა კულისებიდან). ეი, მოქალაქე, რატომ ანაგვიანებ?!

ოთარი. არ მესმის, ცოტა ხმამაღლა ილაპარაკეთ. (განაგრძობს თავისთვის, ლაპარაკობს) დაკარგულა როგატკა, ალბათ, დახეული ჯიბიდან გავარდა.

მეეზოვე (შემოდის). აკრიფე ეხლავე ეს ნაგავი, თორემ დაგაჯარიმებ.

ოთარი (თავისთვის). აბა, ოთარ, გაიპარე აქედან, თორემ მეეზოვეს ვეღარ გადაურჩები. (საჩქაროდ იმალება ხის უკან)

მეეზოვე (ქუჩას ასუფთავებს და თან ლაპარაკობს). ასეთი ბინძური ბავში ჯერ არ მინახავს! მაგაზე გაწეული შრომა სულ დაკარგულია. (გადის)

ოთარი (გამოჰყოფს თავს და იყურება იქით-აქეთ) წავიდა? ძალიან კარგი... ყველაფერი რიგზეა. (ჯდება სკამზე და უცბად წამოხტება) უჰ, რაღაც მჩხვლეტს! (ჩაჰყოფს ხელს გახეულ ჯიბეში და ეძებს შარვალში) როგატკა! ვიპოვნე! (უმიზნებს) ეხლა კი მოგკლავ, ჩემო ბელურა! (ისვრის. ისმის გატეხილი მინის ხმა)

ოთარი (იცქირება კულისებისკენ). ფარანი გავტეხე! სამწუხარო ამბავია. ეხლა კი უნდა გავიპარო აქედან! (აპირებს გაპარვას. ამ დროს ისმის მილიციონერის სტვენა)

მილიციონერი (შემოდის) შესდექ! აქტი უნდა შევადგინო. აბა, წამომყევი მილიციაში. (გადის და თან მიჰყავს ოთარიც)

ფარდა.

სურათი 4.

ხელმძღვანელი (გამოჩნდება დახურული ფარდის წინ). კიდევ ხუთი წელიწადი გავიდა. ოთარმა, როგორც იყო, სკოლა დაამთავრა და შეუდგა დაზგასთან მუშაობას. მაგრამ გამოირკვა, რომ ოთარი აქაც ჩამორჩენილია. მისი დაზგა ყოველთვის უწესრიგო მდგომარეობაშია, ამის მიზეზი კი ის არის, რომ ოთარი ბავშობიდანვე უწესრიგობას იყო მიჩვეული. ის სამუშაოზე ყოველთვის იგვიანებს.



მან ვერ შეასრულა თავისი დავალება. ის უკანასკნელთა შორის ყველაზე უარესია. (მაყურებელთა დარბაზიდან შემორბის ოთარი და იმალება კულისებში)

ხელმძღვანელი. აი, ოთარი ეხლა გარბის სამუშაოდ, დანარჩენი მუშები კი უკვე თავ-თავის დაზგასთან მუშაობენ. (ხელმძღვანელი გადის. აიხდება ფარდა. მუშები დაზგებთან მუშაობენ)

მუშები (ერთად).

ყვირის საყვირი,
ჩვენც ვიწყებთ შრომას,
ზარმაცს, ცრუ დამკვრელს
ზიზღი და გმობა!

(ყველა სწმენდს და ასუფთავებს თავის დაზგას. შემორბის ოთარი და ჯდება თავის დაზგასთან)

ოთარი. ეჰ, მე არ გავწმენდ ჩემს დაზგას.

მუშები (ერთად).

საქმეს ერთგულად მოვკიდოთ ხელი,
დამკვრელებისგან მეტს და მეტს
ველით.

ოთარი (წამოდგება, ისევ დაჯდება). ცოტას კიდევ დავისვენებ. ძალიან დავიღალე... შენ კი, დაზგავ, ცოტა ხანს მოიცადე; მთელი დღე წინ გვაქვს, მუშაობას კიდევ მოვასწრებთ. (ამთქნარებს) ეხ-ეხ-ეხ!.. ნეტავი ძილი შეიძლებოდეს... მაგრამ ოსტატი შემამჩნევს და დაიწყებს ჩხუბს თავისებურად: „ოთარი ზარმაცობს, ოთარი სახელს გვიტეხს". (ადგება) აბა, დაზგა, შევუდგეთ მუშაობას. (სურს დაზგა აამუშაოს, მაგრამ დაზგა არ იძვრის) რა მოუვიდა ამ ოხერს... (კიდევ სცდის) ამუშავდა! ამუშავდა! (დაზგა ისევ შეჩერდა) ეჰ, ისევ გაჩერდა! ეხლავე შევამოწმებ ამის მიზეზს. (ათვალიერებს დაზგას) აა! ნაგვით ამოვსებულა. დიდი ხანია დაზგა აღარ გამიწმენდია, ამას გარეცხვა დასჭირდება. (დაიწყებს დაზგის წმენდას)

ფარდა.

ფარდის წინ გამოდის ხელძღვანელი)

ხელმძღვანელი (მიმართავს მაყურებლებს). ამით ვათავებთ ჩვენს წარმოდგენას. ეხლა თქვენ გეკითხებით: საჭირო არიან თუ არა ჩვენთვის გამცდენები, ზარმაცები და დაუდევრები?

მაყურებლები. არა!

ხელმძღვანელი. ეხლა მეორე შეკითხვა: ოთარი რომ თავიდანვე მიჩვეული ყოფილიყო შრომას, წესრიგს და სისუფთავეს, იქნებოდა თუ არა ის ქარხანაში ყველაზე უარესი?

მაყურებლები. არა!

ხელმძღვანელი. ბავშებო, თქვენ ოთარს არაფრით არ გავხართ? ოთარის საქციელი თქვენთვის ნაცნობი ხომ არ არის? სუფთა, წესიერები ხართ სკოლასა და სახლში? (ბავშები უპასუხებენ)

ხელმძღვანელი. ოქტომბრელებო, მოწაფეებო, სიზარმაცე ცუდი მაგალითია. თუ გინდათ დაზგასთან დამკვრელნი იყოთ,-სიბინძურეს და დაუდევრობას ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. მიაქციეთ ყურადღება თქვენს თავსაც და სხვასაც. ქუჩაში, სკოლაში და სახლში ვიყოთ სუფთა და წესიერები!

ავტომობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილის გაკეთება ფანერისაგან შეიძლება. გააკეთეთ ნაწილები (იხ. ნახ. 1, 2, 3). იმ ნაწილებისათვის, რომლებიც №2 და №3-ზეა ნაჩვენები, შეიძლება იხმაროთ პატარა კოლოფები, შემდეგ უნდა გამოხერხოთ ორი გვერდის ნაწილი (იხ. ნახ. 4-ა) — ამ ნაწილების ყურები უნდა გახვრიტოთ ლილვებისათვის. ავტომობილი შეგიძლიათ გააკეთოთ დიდიც და პატარაც. გვერდის ნაწილები მიაჭედეთ ფიცარს (ნახ. 1), და ავტომობილის შასი (ძირი) მზად გექნებათ ((ნახ. 4 ბ). მერე გაუყარეთ გვერდის ნაწილებში ლილვი ნახ. 7) და ჩამოაცვით ზედ გოგრები, გაამაგრეთ ზედ, რომ არ გამოვარდეს. სანამ ლილვს გაუყრიდეთ გვერდის ნაწილებში, ჩამოაცვით ზედ ძაფის კოჭი — საჭიროა ჩვენთვის ავტომობილის ასამოძრავებლად (ნახ. 6) მხოლოდ მერე გაუყარეთ ლილვი შასში და ჩამოაცვით გოგრები. მოძრაობის დროს რომ გოგორები არ გამოვარდეს, მავთულის ბოლოები გადალუნეთ (ნახ.7). ავტომობილის ასამოძრავებლად საჭიროა ავტომობილის ძირზე მიაჭედოთ პატარა კავი. (ნახ. 7), მერე აიღეთ რეზინი და ერთი ბოლო მიამაგრეთ კავს, მეორე ბოლოზე კი მიაბით მაგარი მკედი (ნახ. 7). ძაფი გააატარეთ კოჭის ირგვლივ, რომელიც წინა ლილვზეა გაკეთებული, უკანა ლილვს შუაზე გაუკეთეთ ნახვრეტი და შიგ გაამაგრეთ რეზინაზე მობმული მკედი. როგორ უნდა გაიყაროს, გამაგრდეს ასამოძრავებელი რეზინი და ძაფი, ამას ნახავთ მე-7



ნახატზე. ახლა უნდა სინჯოთ, როგორ მოძრაობს ავტომობილი, და შემდეგ დაადგათ და გაამაგროთ დასაჯდომი და სხვადასხვა გარეგანი ნაწილი. გასინჯეთ—კარგად ტრიალებს თუ არა გოგორები, შემდეგ აიღეთ ავტომობილი ხელში და დაატრიალეთ უკანა ლილვი, სანამ შესაძლებელი იქნება და სანამ არ დაეხვევა ზედ რეზინი. როდესაც მეტი გადატრიალება აღარ შეიძლება, გაუშვით ავტომობილი იატაკზე.

ავტომობილი წავა წინ, რადგანაც გაჭიმული და უკანა ლილვზე დახვეული რეზინი დაიწყებს დამოკლებას, გასწევს ძაფსაც, აატრიალებს ლილვს თავის გოგორებიანად და აამოძრავებს ავტომობილს.

როდესაც მოძრაობის საქმეს მოაწყობთ, შემდეგ მიამაგრეთ ზედ დასაჯდომი კეხი (ნახატ. მე-3) და რადიატორი (ნახატი 2), გაამაგრეთ ზედ საჭე (ნახატი. 8), შეღებეთ თქვენი მანქანა რა ფერითაც გინდათ, გამოუნახეთ სახელი და მარკა, და მზად იქნება (ნახ. მე 10).



საბავშო განყოფილება

25 თებერვალი

1921 წლის 25 თებერვლამდე საქართველოში მენშევიკური მთავრობა იყო გაბატონებული. ურთიერთობა საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის ცუდი იყო. მენშევიკები ფიქრობდენ, რომ მათ ევროპა დაიცავდა თავისი ჯარებით და ამიტომ მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკასთან მტრულ განწყობილებას არ ერიდებოდენ.

მდგომარეობა საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში გაძნელებული იყო. იფეთქა გლეხების აჯანყებებმა საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში. მთავრობამ აჯანყებული მშრომელების დასასჯელად ჯარის ნაწილები გაგზავნა. ჯარებმა აიკლეს და გაანადგურეს მშრომელი მოსახლეობა.

25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. და შეწყდა ომები, მოისპო შიმშილობა. მუშებმა და გლეხებმა თავი სუფლად ამოისუნთქეს და ააფრიალეს მმობის დროშა, რომელიც დღემდე ფრიალებს მთელ საბჭოთა კავშირში.

მაშ გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 11 წლის თავს და გაუმარჯოს დაჩაგრული ერების მსსნელსა და დამცველს წითელ არმიას!

ბიძინა ჟამუტაშვილი.

წითელი არმიის 14 წლის თავი.

1932 წლის თებერვალში შესრულდა წითელი არმიის 14 წლის თავი. მუშებისა და გლეხების დამცველი არმია მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც 1918 წელს რუსეთში მუშურ-გლეხური მთავრობა შეიქმნა. წითელი არმია საკვებით განსხვავდება მეფის დროის ჯარისკაცებისაგან. მეფის დროს ჯარისკაცები შეუგნებელნი იყვნენ, ისინი იცავდენ მეფის ტახტს, ე. ი. იცავდენ მას, ვინც ჭეშლეფდა და აწიოკებდა მშრომელებს. ჯარისკაცებს არ ესმოდათ, რომ მეფე მათი მტერი იყო.

წითელი არმია კი შეგნებულია, მას ესმის ვის იცავს და რისთვის იბრძვის. წითელი არმია მუშურ-გლეხური მთავრობის მცველია.

საბჭოთა კავშირს ესლაც ბევრი მტერი ჰყავს, ამიტომ წითელი არმია ყოველთვის მზად არის საბჭოთა კავშირის დასაცავად.

თამარ ხელაძე.

გაკეთეთ ნითელარმიელის ქუდი



აიღეთ ქაღალდის ფურცელი და თავზე მოიზომეთ, რომ გაიგოთ ქუდის ზომა (ნახ. 1), შემდეგ დანიკბეთ, როგორც მეორე ნახატზეა ნაჩვენები. ახლა მიაწებეთ ერთმანეთზე ქაღალდის ორივე ნაპირი, ნიკბები კი ცენტრისაკენ გადაკეცეთ და ერთიმეორეზე დაადევით (ნახ. 3 და 4).

ქუდის ქვედა ნაწილი 4 თანასწორ ნაწილად გაყავით და დანიშნეთ თითოეული ნაწილი. ამ დანიშნული წერტილებიდან პირდაპირი ხაზით გაჭერით ქაღალდი ქვევიდან ზევით, ისე, როგორც ნაჩვენებია მე-5 ნახატზე, შემდეგ კი მოსჭერით ორი ნაწილი, დანარჩენი ორი კი აკეცეთ ზევით, როგორც ნაჩვენებია მე-7 ნახატზე. ეს აწეული ნაწილი ჩაკეცეთ ისე, როგორც ნაჩვენებია მე-8 ნახატზე, და მიიღებთ გამზადებულ ქუდს. წითელი ქაღალდისაგან გამოსჭერით ხუთქიმიანი ვარსკლავი და დააწებეთ ქუდის წინა ნაწილის შუაში.

მეზღვაურების დემონსტრაცია

გ ა მ ო ც ა ნ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქამდე ბევრი მჭიროდა,
ახლა ვხნავ ერთის ხარითა.
აღარ ვაბრუნებ მიწასა,
ყამირიც იყოს, ბარითა.

ბალახს არა მთხოვს, წყალსა სვამს,
ისიც ხანგამოშვებითა,
ხან ჩქარა დადის, ხან ნელა—
პატრონის სურვილ-ნებითა.

თავიდან ბოლომდე არის
ფოლადისა და რკინისა;
ბოსლად არ იცის არჩევა
საცხოვრებელი ბინისა.

ულელში შებმას არ უცდის,
მხოლოდ გუგუნებს, კაკანებს,
ისე დამიხნავს მიწებსა,
ერთხელ არ დაიქაქანებს.

არც წაბლა ჰქვია, არც ნიშა,
არც გიშერა და ბროლია,
ასეთი გამძლე პირუტყვი
წინად სულ არა მყოლია.

შ. ბ.

გაზაფხულის მარში—ფერადსურათებიანი წიგნი. სახელგამი. 1932 წ. ფასი 40 კ.

ვის არ უყვარს მზიარული მზიანი გაზაფხული, დრო, როდესაც დიდი და პატარა გადის სამუშაოდ, საექსკურსიოდ და მრავალი დღესასწაულის ჩასატარებლად. განსაკუთრებით ეს დრო პატარებს ახარებს. საყვირებით, დროშებით და სიმღერით ეგებებიან ისინი ტეის დაცვის დღეებს, ფრინველების დაცვის დღესასწაულს, პირველ მაისს და სხვ.

ძველი დაინგრა. ისპობა ეკლესიური დღესასწაულები, მათ სცვლის ახალი ეოფა-ცხოვრება, ახალი სიმღერები. ამ წიგნში თქვენ ძველს ვერაფერს ნახავთ. ამ წიგნში არის ახალი ეოფის სურათები, ახალი სიმღერა, ახალი სიხარული. ეს წიგნი გახდება ყოველი ბავშის საყვარელ წიგნად. „გაზაფხულის მარში“ ყველამ უნდა შეიძინოთ თქვენი ბიბლიოთეკისათვის.

ნ. ნ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ